

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“

ფრაქციის სხდომის

ოქმი # 3

ქ.თელავი

22. 11. 2018 წ

სხდომას ესწრებიან :

ფრაქციის თავმჯდომარე არჩილ თვალაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი, სხდომის მდივანი : იოსებ პარწიკანაშვილი .

დღის წესრიგი

1. ქ. თელავში ლესელიძის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებლების დაუყოვნებლივი რეაბილიტაციის შესახებ


მოისმინეს: ქ. თელავში ლესელიძის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებლების დაუყოვნებლივი რეაბილიტაციის შესახებ

აზრი გამოთქვას: არჩილ თვალაშვილი - ქ. თელავში ლესელიძის ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა გასული წლის სექტემბრის თვეში მომმართეს თხოვნით რომ შემესწავლა მათი საერთო საცხოვრებლის ბინის მდგომარეობა. ჩვენ გვქონდა გასვლითი შეხვედრა ვნახეთ ობიექტი რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, არის ავარიული, წინ ე.წ. შუშაბანდის მიშენება გადმოწეულია რითაც საფრთხე იზრდება იქ უსაფრთხო ცხოვრების. შესაბამისად თხოვნით მივმართავთ მერიას 2019 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებში გაითვალისწინოს იქ მცხოვრებთა რთული საშიში მდგომარეობა და მოიძოს თანხები.


აზრი გამოთქვა: ი პარწიკანაშვილი დაეთანხმა შენობის რეაბილიტაციის აუცილებლობას და ასევე აღნიშნა რომ 2012 წლის სტიქიის დროს აღნიშნული საერთო საცხოვრებელი გადახურულია არაკეთილსინდისიერად და ერთი ბინის დასავალეთ მხარეს გამუდმებით ჩამოდის ჭერიდან წყალი, რაც ასევე მისახედა. გადაწყვიტეს :

აღნიშნული პრობლემის მოგვარება არ მოითხოვს დიდი საბიუჯეტო თანხებს
2019 წლის ბიუჯეტს შეუძლა აღნიშნული პრობლემის მოგვარება და შესაბამისად
მერიამ უნდა უზრუნველყოს პრობლემის მოგვარება.

სხდომას ესწროებოდნენ :  არჩილ თვალაშვილი



იოსებ პარჭიკაშვილი



მიხეილ გრემელაშვილი